Municipality of Akhaltsikhe

Digitally signed by Municipality of Akhaltsikhe
Date: 2020.11.02 15:44:22 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი 751/16

ქ. ახალციხე

„22“ ---------10---------- 2020 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის (ს/კ 224101317) მერის 2020 წლის 06 იანვრის №16 07 ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიის წევრები და მეორეს მხრივ შპს ,,გაბიონი 2000“-ს (ს/ნ 445384094) დირექტორი ვახტანგ სურმანიძე ვადასტურებთ, რომ თანახმად ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულსა და შპს ,,გაბიონი 2000“-ს შორის დადებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2020 წლის 18 თებერვლის №35 ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ,,ქრიზოლითი+“-ს მიერ განხორციელდა ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებული ობიექტის ინსპექტირება, მათი დასკვნის შესაბამისად ობიექტზე ხარვეზები არ გამოვლენილა.

2020 წლის 18 თებერვლის №35 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ექვემდებარება დაკავებული ხარისხის კონტროლის თანხის პირველი 2,5%-ის 11672,06 (თერთმეტიათას ექვსასსამოცდათორმეტი ლარი და 06 თეთრი) ლარის ანაზღაურებას.

აღნიშნულს ვადასტურებთ ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები (კომპეტენციის ფარგლებში) და შპს ,,გაბიონი 2000“-ს დირექტორი ვახტანგ სურმანიძე ხელმოწერით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წინამდებარე კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მხარეებს პრეტენზიები არ გაგვაჩნია

კომისიის თავმჯდომარე-
ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე - გურამი მელიქიძე

მიღება-ჩაბარების კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე- ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - იოსებ კაპანაძე

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - გელა ლომიძე

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილების
ხელმძღვანელი - სტეფანე კაჭკაჭაშვილი

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი - ილია ზარდიაშვილი

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის მრჩეველი ინფრასტრუქტურულ საკითხებში - გელვასი გელაძე

შპს ,,გაბიონი 2000“-ს დირექტორი - ვახტანგ სურმანიძე

GABIONI 2000 GEORGIA 445384094 "GABIONI 2000" LTD

ქ რ ი ზ ო ლ ი თ ი +

შპს „ ქრიზოლითი +“
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო
თბილისი 0105, შ.დადიანის ქ. №24ა(იურიდიული)
თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. №47ბ (ფაქტიური)
ელ.ფოსტა: khrizoliti@gmail.com

საქ GAC

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC-IB-0301

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტირებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013.
აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0301

ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიში №QRT/IB-A2-20-21AXC

1. შედგენის თარიღი: 27.08.2020წ.

2. შევადგინე ზედამხედველობის -ინსპექტორმა: ე.მღებრიშვილმა
სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი,
მუშაობის 30 წლიანი სტაჟით.

3. განაცხადი: 24.02.2020 N903/07 ხელშეკრულება: N 254 27.08.2019 წ.

4. დამკვეთის დასახელება: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

5. ინსპექტირების ობიექტის დასახელება: ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა.

ინსპექტირების ამოცანა: *დასახელება:* დასახელება: ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობაზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირების განხორციელება.

6. გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:

ზედამხედველობის-ინსპექტორი: /ე.მღებრიშვილი/

შპს ქრიზოლითი + 404474065 KHRIZOLIT+ LTD

7. წარმოდგენილი დოკუმენტები:

- 2020 წლის 18 თებერვალს გაფორმებული № 35 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ჯამური ღირებულებით 428655,94 (ოთხასოცდარვა ათას ექვსასორმოცდათხუთმეტი ლარი და 94 თეთრი) ლარი დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით, მათ შორის რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ (მლაშიხევის არხი) სანიაღვრე არხის სამუშაოების ღირებულება 327769,27 (სამასოცდაშვიდი ათას შვიდასსამოცდაცხრა ლარი 27 თეთრი) ლარი. რუსთაველის ქუჩის კოლექტორი (2,0*2,0) სამუშაოების ღირებულება 100886,67 (ასიათას რვაასოთხმოცდა ექვსი ლარი 67 თთრი) ლარი (ტენდერი № NAT200000158), ელექტრონულად შტამპდასმული ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის და ელექტრონულად ხელმოწერილი შპს ,,გაბიონი 2000"-ის დირექტორის ვახტანგ სურმანიძის მიერ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 428655,94 (ოთხასოცდარვა ათას ექვსასორმოცდათხუთმეტი ლარი და 94 თეთრი) ლარი მათ შორის რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ (მლაშიხევის არხი) სანიაღვრე არხის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 327769,27 (სამასოცდაშვიდი ათას შვიდასსამოცდაცხრა ლარი 27 თეთრი) ლარი. რუსთაველის ქუჩის კოლექტორი (2,0*2,0) სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 100886,67 (ასიათას რვაასოთხმოცდა ექვსი ლარი 67 თთრი) ლარი დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით;
- სახელშეკრულებო შეთანხმება N1 05.08.2020წ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,გაბიონი 2000"-ს შორის სამუშაოების ვადის გაზრდაზე, სამუშაოების წარმოების ვადა განესაზღვრა 2020 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით.
- სახელშეკრულებო შეთანხმება N2 27.08.2020წ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,გაბიონი 2000"-ს შორის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციიის კორექტირებაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 467180.83 (ოთხას სამოცდა შვიდი ათას ასოთხმოცი ლარი 83 თეთრი) ლარი დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით.
- საპროექტო დოკუმენტაცია, მომზადებული შპს ,,აიდიემი"ს მიერ;
- კორექტირებული გეგმა-გრაფიკი.

8. ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა მელიქიძის 2020 წლის 24 თებერვლის N903/07 წერილის თანახმად ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობაზე შ.პ.ს. ,,ქრიზოლითი+"ის ზედამხედველობის-ინსპექტორმა ე.მღებრიშვილმა განვახორციელე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირება, რომლის ღირებულება კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შეადგენს 467180.83 (ოთხას სამოცდა შვიდი ათას ასოთხმოცი ლარი 83 თეთრი) ლარს დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და და შპს ,,გაბიონი 2000"-ს შორის სახელშეკრულებო შეთანხმება N2 27.08.2020წ. საფუძველზე ხარჯთაღრიცხვამ განიცადა კორექტირება (დაკორექტირდა მოცულობები დაემატა მლაშიხევის არხს 5,5მეტრი და

კოლექტორს პ.კ. 4+76-ზე 15,7 მეტრი ;ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოების შესრულებაზე:

რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ (მლაშიხევის არხი 4*2,5მ) კოლექტორის მოწყობა:

- კალაპოტში არსებული ბეტონის ბლოკების დაშლა სანგრევი ჩაქუჩებით;
- ბრუნტის დამუშავება არხში გადაზიდვა ნაყარში თვითმცლელებით;
- წყლის ნაკადის მოსაცილებლად მილის მონტაჟი და დემონტაჟი;
- ხრეშოვანი საბების მოწყობა კოლექტორის ტანის ქვეშ;
- კოლექტორის საძირკვლის ძირის მონოლითური ბეტონის მოწყობა;
- არმატურის კარკასის მოწყობა კოლექტორის ძირის და კედლებისთვის;
- მონოლითური რკ/ბეტონის კოლექტორის კედლების და ფილის მოწყობა;
- წასაცხები ჰიდროიზოლაციით კედლის დამუშავება ცხელი ბიტუმით;
- ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის უკუმიყრა სიცარიელის შევსება.

რ/ბ მართკუთხა კვეთის კოლექტორის მოწყობა, (2,0*2,0 მ.)

- ბრუნტის დამუშავება არხში გადაზიდვა ნაყარში თვითმცლელებით;
- წყლის ნაკადის მოსაცილებლად მილის მონტაჟი და დემონტაჟი;
- ხრეშოვანი საბების მოწყობა კოლექტორის ტანის ქვეშ;
- კოლექტორის საძირკვლის ძირის მონოლითური ბეტონის მოწყობა;
- არმატურის კარკასის მოწყობა კოლექტორის ძირის და კედლებისთვის;
- მონოლითური რკ/ბეტონის კოლექტორის კედლების და ფილის მოწყობა;
- კოლექტორის თავზე ცემენტის ხსნარით დამცავი ფენის მოწყობა;
- თუჯის ლუქის მოწყობა:
- წასაცხები ჰიდროიზოლაციით კედლის დამუშავება ცხელი ბიტუმით;
- ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის უკუმიყრა სიცარიელის შევსება;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გაბიონი 2000"-ს შორის 2020 წლის 18 თებერვალს გაფორმებული № 35 ხელშეკრულებისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და თანდართული გრაფიკის თანახმად ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შესრულების ვადა განსაზღვრული იყო 2020 წლის 18 თებერვლიდან 2020 წლის 05 აგვისტოს ჩათვლით;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების N1 05.08.2020წ. საფუძველზე სამუშაოების წარმოების ვადა გაიზარდა 2020 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.

ფაქტიურად სამუშაოები დაიწყო 2020 წლის 15 მარტს და დასრულდა 2020 წლის 27 აგვისტოს კორექტირებული გეგმა გრაფიკის დაცვით.

ზედამხედველობის ინსპექტირების პერიოდში შპს „გაბიონი 2000"-ის დირექტორის ვახტანგ სურმანიძის მიერ ჩემი თანდასწრებით, მოხდა ადგილზე ბეტონის ნიმუშის აღება (სანიაღვრე არხის ძირიდან და გვერდითი კედლიდან ასევე არხის ზედა ფილიდან.) რაზედაც შედგენილია ბეტონის ნიმუშის აღების და დალუქვის აქტები (N 1 08.06.2020 წ. N2 22.06.2020წ. N3 21.08.2020წ.), რომელებსაც აკრედიტირებული ლაბორატორიის (შ.პ.ს. „მშენტექკონტროლი" აკრედიტაცია GAC-TL-0169 სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018) მიერ ჩაუტარდა ბეტონის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა. წარმოდგენილი კვლევის შედეგები შესაბამისობაშია პროექტის მოთხოვნებთან და ნიმუშის აღების აქტებთან ერთად ანგარიშს თან ერთვის.

არმატურაზე, ბიტუმის მასტიკაზე, ჯუტის ქსოვილზე წარმოდგენილია ხარისხის დამადასტურებლი სერთიფიკატები, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის.

ყველა ფარული სამუშაოების მიღება განხორციელდა ეტაპობრივად და ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებზე გაფორმდა ფარული სახის სამუშაოს -34 აქტი. აქტები ხელმოწერილი და ბეჭედ დასმულია შპს ,,გაბიონი 2000"-ის სამუშაოთა მწარმოებელის მ. სურმანიძის და შ.პ.ს. ,,ქრიზოლითი+"ის ზედამხედველობის-ინსპექტორის ე.მღებრიშვილის მიერ.

ზედამხედველობის პროცესში ობიექტზე ივსებოდა ზედამხედველობის-ინსპექტირების ჟურნალი, რომელშიც დაფიქსირებულია შესრულებული სამუშაოების სახეები, მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებზე გადაღებულია ფოტოსურათები. ზედამხედველობის - ინსპექტირების ჟურნალი და ფოტოები ანგარიშს თან ერთვის.

აზომვები ხორციელდებოდა 10 მ-ანი ლითონის საზომი ლენტით (დაკალიბრების სერტიფიკატი №00328/2-20)

მშენებლობის პროცესი წარიმართა მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, პროექტში და ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად, ვიზუალურად ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ინსპექტირების ანგარიშს თან ერთვის.

1. მე-8 პუნქტში მითითებული დოკუმენტები (ქსეროასლები)
2. ფარული სამუშაოს 34 აქტი;
3. სერთიფიკატები 14 ფურცელი მყარ დისკზე;
4. ბეტონის ნიმუშის აღების 3 აქტი;
5. ბეტონის ნიმუშის გამოცდის ოქმი 5 ფურცელი მყარ დისკზე;
6. ფოტომასალა - მყარ დისკზე;

8. ზედამხედველობა/ინსპექტირების ჟურნალი - დედანი;

9. **გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:**

1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82);

2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 3);

3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 15 იანვრის დადგენილებაში №71);

4..QRT/IB/GP-7.1-2 ინსპექტირების პროცედურები.

დასკვნა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობაზე 2020 წლის 15 მარტიდან 2020 წლის 27 აგვისტომდე განხორციელებული ზედამხედველობა-ინსპექტირების პერიოდში ობიექტზე სამუშაოები სრულდებოდა საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მონაცემების შესაბამისად, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზედამხედველობის -ინსპექტორი: /ე.მღებრიშვილი/

ტექნიკური წესით გადაამოწმა
ტექნიკურმა მენეჯერმა: /ღ.რაზმაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელმა: /მ.ახვლედიანი/

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 15.03. 2020წ.
ინსპექტირების დამთავრების თარიღი : 27.08. 2020 წ.

გ.ა.